

მიმართვა

საერთაშორისო კონკურს „კენგურუ-2018“-ზე დარეგისტრირებულ მოსწავლეთა მშობლებსა და მათემატიკის მასწავლებლებს

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

თქვენთვის ცნობილია, რომ გასულ წელს, ასოციაცია „ბალავარი“ სამჯერ შეცვალა საერთაშორისო მათემატიკურ კონკურს „კენგურუს“ ჩატარების თარიღი, მიზეზების შესახებ ზოგადი ინფორმაცია კი, ფეისბუქისა და ვებგვერდის საშუალებით მიაწოდა დაინტერესებულ საზოგადოებას. მაგრამ, როცა უკვე აშკარა გახდა, რომ საქართველოში ვეღარ ჩატარდებოდა „კენგურუ-2018“, კონკურსზე უკვე დარეგისტრირებული მოსწავლეებისათვის რამდენჯერმე გააკეთა სპეციალური განცხადება მის ხელთ არსებული ყველა საინფორმაციო ტექნოლოგიური საშუალებებით.

შენიშვნა: განცხადებები გაკეთდა: 12, 13, 16 ივნისსა და 11 ოქტომბერს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 12 ივნისის პუბლიკაცია ფეისბუქზე, ერთკვირიანი ინტენსიური რეკლამის ფორმატში გადიოდა.

ბევრმა თქვენგანმა ისიც იცის, რომ ასოციაცია „ბალავარი“ იძულებული გახდა თავისი და საქართველოს ბავშვების უფლებების დასაცავად სარჩელი შეეტანა პარიზის სასამართლოში (TRIBUNAL DE GRANDE INSTANCE DE PARIS);

მოსწავლეების, მათი მშობლებისა და პედაგოგების აბსოლუტური უმრავლესობა გაგებით შეხვდა ამ განცხადებებს, რამეთუ ენდობიან ჩვენი ორგანიზაციის ოცწლიან გამოცდილებას კონკურს „კენგურუს“ ორგანიზების საქმეში; მათ ჩვენ **კიდევ ერთხელ გულითად მადლობას ვუცხადებთ მხარდაჭერისა და თანადგომისათვის!** არც იმ ერთი-ორ „ახალ“ მშობელს ვსაყვედურობთ, ვინც კატეგორიულნი იყვნენ თავიანთ განცხადებებში, რადგან აშკარაა, რომ მიზეზების თაობაზე სრული ინფორმაციის არქონის გამო, არსებული შეფერხება ჩვენს არაორგანიზებულობას მიაწერეს. როგორც ჩანს, მათ უფრო ვრცელი ინფორმაციის მიღება სურდათ, ვიდრე აქამდე გამოვაქვეყნეთ. მაგრამ სასამართლო პროცესების დამთავრებამდე შესაძლებელი არ არის სრული ინფორმაციის განხილვა, რამეთუ განსახილველი სარჩელის მეორე მხარე (არაოფიციალური, დაფარული) საქართველოს მოქალაქეები გახლავთ;

მოგეხსენებათ, სასამართლო პროცესები არათუ პარიზში, საქართველოშიც კი ჩვეულებისამებრ დიდხანს ჭიანჭურდება, ამიტომ, გადავწყვიტეთ ძველი ინფორმაცია ზოგიერთი დეტალით შევავსოთ და შეძლებისდაგვარად უფრო ვრცლად გადმოგცეთ საქმის ვითარება.

საქართველოში „კენგურუს“ ორგანიზატორზე თავდასხმების უმოკლესი ისტორია:


მსოფლიო მათემატიკურ კონკურს „კენგურუს“ ასოციაცია „ბალავარი“ 1998 წლიდან ატარებს; ამ ხნის განმავლობაში განათლების სამინისტროს ზოგიერთი მაღალჩინოსნის მხრიდან ჩვენ **მუდმივად** განვიციდით სერიოზულ ხელისშემლას საქმიანობაში; „კენგურუს“ ჩაზომისადმი ინტერესი არ ცხრებოდა მაშინაც კი, როცა იცვლებოდნენ პიროვნებები მაღალ თანამდებობებზე. განსაკუთრებული სიძლიერით სამჯერ შემოგვიტიეს: 2006, 2010 და 2018 წლებში, კერძოდ:

2006 წელს განათლების სამინისტროს მოწადინებითა და ორგანიზებით ჩაიშალა კონკურსი თბილისში (რაიონებში ჩატარდა); შემოტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საერთოდ ამ კონკურსის მომავალი საქართველოში! მაგრამ, მაშინ „კენგურუს“ საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტისა და წევრი ქვეყნების წარმომადგენლების, ევროპის მეცნიერთა საზოგადოების, დიდი ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების აქტიური ძალისხმევითა და მხარდაჭერით გადარჩა „კენგურუს“ საქართველოში!

(გვაქვს ზემოთქმულის დამადასტურებელი დოკუმენტები.)

2010 წელს მავნებლობის სტრატეგია და ტაქტიკა შეიცვალა. ამჯერად, მთავრობის ზოგიერთ წევრთა უშუალო მოწადინებით, საქართველოში დაგეგმილი „კენგურუს“ მსოფლიო ორგანიზაციის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის ჩაშლა იქნა გადაწყვეტილი. მათი საწადელი რომ აღსრულებულიყო, 2011 წელს „კენგურუს“ მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ჩატარდებოდა!

მაშინაც „კენგურუს“ საერთაშორისო ორგანიზაციამ გვიშველა!



ბალავარი
საინფორმაციო სასამართლო საზოგადოება

2018 წელს განხორციელებული მავნებლობა, როგორც აღმოჩნდა, სავარაუდოდ, 2015 წლიდან მოდის; საქართველოს განათლების სფეროს მესვეურთა ერთმა ჯგუფმა, რომელნიც სამინისტროს მაღალი რანგის ჩინოვნიკების მიერ იყვნენ წახალისებულნი, მზაკვრული სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს, რომლის ამოცანა იყო სეპარატულად, არაკეთილსინდისიერი გზებით „კენგურუს“ საერთაშორისო ორგანიზაციაში შეღწევა და „ბალავარის“ ჩანაცვლება მათი ჯგუფით. მოგესვენებათ, უკვე სხვა პოლიტიკური სიტუაცია იყო, პირდაპირი ინტერვენცია რომ ვერ განახორციელებს, შეცდომაში შეიყვანეს და არაკანონიერი ნაბიჯი გადაადგმევინეს თბილისში 2015, 2016 წლებში ორჯერ მოწვეულ(?) „კენგურუს“ საერთაშორისო ორგანიზაციის ახალ პრეზიდენტს, რასაც შემდგომ ჩვენს წინააღმდეგ მისი მხრიდან მიღებული რამდენიმე უკანონო გადაწყვეტილება მოჰყვა. სწორედ ამიტომაც არ მოგვეცა „კენგურუ-2018“-ის ჩატარების საშუალება, შედეგად კი – **საქართველოს ბავშვები დაიჩაგრათ!**

შენიშვნა: პრეზიდენტის მომწვევის ვინაობა ოფიციალურად უცნობია!?

მკითხველი უსათუოდ გაოცდება, რა მიზანი უნდა ამოდრავებდეს განათლების სფეროს მესვეურთა ჯგუფს ასეთი უპატიოსნო საქციელის ჩასადენად?! – სიხარბე, ფინანსური ინტერესი! საქმე იმაშია, რომ ამ ჯგუფის ხელში აღმოჩენილი მსოფლიოს ბავშვთა უსაყვარლესი კონკურსი, ბიზნესად გადაიქცეოდა და მავანი გრანტებისა, თუ დონორი ორგანიზაციების თანხებზე ხელს მარტივად მოითბობდნენ;

მეგობრებო! არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენი მტრები(საქართველოს განათლების სფეროს მესვეურთა ძალზედ მცირერიცხოვანი ჯგუფი) მატერიალურად ძლიერნი იყვნენ(და არიან!). ჩვენამდე მოსული დაუზუსტებელი ინფორმაციით, მათ უცხოელების ფინანსურად დაინტერესებაც მოახერხეს, პარიზში ჩვენი ქართველი ადვოკატიც მოისყიდეს, **მაბრამ** გვერწმუნეთ, მაინც ვერაფერს მიაღწევენ, რამეთუ სამართალი ჩვენს მხარესაა და სასამართლო პროცესების მოგების 100%-იანი გარანტია გვაქვს! ამას ისიც დაემატა, რომ ჩვენს დაცვაში უკვე საფრანგეთის რამდენიმე ცნობილი უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია ჩაერთო! სულ მალე პროცესები გააქტიურდება.

მივმართავთ საერთაშორისო კონკურს „კენგურუ-2018“-ზე დარეგისტრირებულ მოსწავლეთა მშობლებსა და მათემატიკის მასწავლებლებს: **გთხოვთ, გამოიჩინოთ კეთილი ნება და მხარდაჭერა გამოუცხადოთ ასოციაცია „ბალავარს“, რომელსაც საშინელი წნეხისა და საქმიანობაში გაუგონარი ხელის შეშლის მიუხედავად, 21 წლის განმავლობაში მცირეოდენი წვლილი შეჰქონდა თქვენი შვილებისა და თქვენი მოსწავლეების ინტელექტის განვითარებაში, ყოველწლიურად ახარებდა მათ მსოფლიოს მილიონობით ბავშვისათვის სახალისო კონკურს „კენგურუს“ საინტერესო ამოცანებით. გვერწმუნეთ, თუ ჩვენ ბევრნი ვიქნებით, სამართალი უფრო მარტივად დადგინდება და კონკურს „კენგურუს“ აუცილებლად გადარჩება საქართველოში!**

აქვე განვმარტავთ, რომ ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ კონკურსზე დარეგისტრირებული მოსწავლეებისათვის თანხის უკან დაბრუნებას, რადგან ჩვენი მხარის გამარჯვებისათვის სასამართლო პროცესებს აუცილებლად სჭირდება: კონკურსზე დარეგისტრირებულ მოსწავლეთა სარეგისტრაციო და საბანკო ახალი ამონაწერები, კონკურსის ფონდის შემოსავალ-გასავალის ზუსტი და დეტალური ხარჯთაღრიცხვა შესაბამისი დოკუმენტაციით. ამიტომ, **ძვირფასო მეგობრებო, გთხოვთ, გარკვეული ღრობით, კიდევ დაგველოდოთ, თქვენ გადახდილი თანხა არ დაგეკარგებათ!**

რაც შეეხება კონკურს „კენგურუსზე“ გადახდილი თანხის გადატანას ასოციაცია „ბალავარის“ მიერ 2019 წელს დაანონსებულ ახალ მსოფლიო კონკურსებზე, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია, რადგან ახალ კონკურსებს სხვა მსოფლიო ორგანიზაციები ატარებენ.

გირჩევთ, მიიღოთ მონაწილეობა ახალ მსოფლიო უნიკალურ მათემატიკურ კონკურს **MathBag – International Mathematical Puzzle Contest**-ში. გვერწმუნეთ, პირველი მარცხის შემდეგ, საქართველოში დიდხანს არავის გაუჩნდება სეპარატული, მზაკვრული გეგმების განხორციელების სურვილი.

ვისურვებთ წარმატებებს!

საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაცია „ბალავარის“ ადმინისტრაცია

21.01.2019